DOI: 10.67363/vcke7stn

Levan Bregadze
Research Fellow,
Institute of Georgian Literature

The Adventure of an Uncensored Poem

(Abstract)

KEYWORDS: Kolau Nadiradze, Poetry, Censorship, Georgia, Symbolism

In the twentieth century, critics urged Kolau Nadiradze to "write about contemporary events and topics". That advice, however, also reveals how progressive – and how threatening to the Soviet regime – this Georgian symbolist poet appeared to the communist party officials of the period.

Nadiradze's poetic masterpiece, "25th February of 1921," offers vivid evidence of the author's enduring creative freedom. The poem succeeded in evading Soviet censorship and later regained renewed political significance in Georgia after the tragedy of 9 April 1989. Like certain individuals, some poems have a distinctive and unusual fate. Nadiradze's poem was as adventurous as its author: it was shaped by the tragically farcical nature of the communist regime.

In the summer of 1985, the Merani Publishing House released a collection entitled *One Thousand Lines of a Poet*, dedicated to the seventieth anniversary of the Great October Socialist Revolution in Russia. Suddenly, a startling rumour spread through Tbilisi, the capital of Georgia. An anti-Soviet poem had been included in the book. It was intended to give an account of poets' creative trajectories and to present the

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

"treasury" of Georgian poetry inspired by the Soviet era. In hindsight, Nadiradze's anti-Soviet lines candidly express the poet's true feelings towards an oppressive system that had claimed the lives of his fellow poets and friends. At the time, everyone was astonished by what seemed like such a scandalous revelation.

The Soviet system employed a range of mechanisms to ensure that anti-ideological content never escaped official scrutiny. As a result, the possibility of such an oversight was regarded as unthinkable, and for a time many dismissed the rumour as malicious gossip.

In fact, Nadiradze's anti-communist, patriotic poem – which portrayed, in stark terms, the tragic reality of Red Russia's occupation of the independent Republic of Georgia in February 1921 – had been included in a Soviet poetry collection. Part of that controversial edition had already entered the market. A rapid decision was therefore taken: to withdraw the books from circulation, destroy the page containing the infamous poem, and sell the collection without it.

The author of this article managed to obtain several copies of the original book before the entire edition was censored at the publishing house where he worked. Today, two versions of this unique edition exist: one approved by the Soviet censor and the other prohibited – of which only a few copies remain. This is the story of how a Georgian poem survived Soviet censorship and reached the twenty-first century in a free and independent Georgia.

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/vcke7stn

ლევან ბრეგაძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ცენზურასბაძცეული ლექსის თავგადასავალი

საკვანძო სიტყვები: კოლაუ ნადირაძე, პოეზია, ცენზურა, საქართველო, სიმბოლიზმი

ქართველ სიმბოლისტთა უკანასკნელი წარმომადგენლის თაობაზე თამაზ ჩხენკელი აღნიშნავს: „არცერთ ქართველ პოეტთან არ გვხვდება სამშობლოს ისეთი ტრაგიკული და მტკივნეული განცდა, როგორც კოლაუ ნადირაძესთან. სამშობლო მისთვის ბედისწერაა, უკანასკნელი განსასვენებელია. სამშობლო – მიწა, ადამიანი და უკვდავი სულია“.[9] როგორც ინგლისელები ამბობენ: გონიერი ადამიანები ერთ აზრზე დგანან.[10] შესაბამისად, განსაკუთრებით მიუღებელია მკვლევარ რამაზ პატარიძის კონტრასტული მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს, ეს „ცისფერყანწელი“ პოეტი „წარსულში გამოიკეტა“.[9] პირიქით, სულ სხვა აზრი დევს კოლაუ ნადირაძის ცნობილ ფრაზაში „ჩანს, ისევ ფესვით წარსულში ვრჩები“.[9] პოეტისა და მისი შემოქმედების ფილოსოფიური აღქმა მასაუდიტორიას კი არა, ბევრ მკვლევარს არ ძალუძს, მაგრამ მაინც საკუთარ „მოსაზრებას“ თამამად ავრცელებს.

უთვისტომო და მცირეხნიანი ერის შვილივით ვერ იფარფატებდა მხოლოდ აწმყოში ასეთი ღრმა ფიქრისა და ემოციის ადამიანი. სწორედაც რომ მომავლის პოეტისთვის დამახასიათებელი მსჯელობა და განცდები აქვს შემოთავაზებული წარსულის ტკივილის ბოლომდე შეგრძნებაში:

> „მე საქართველო მაგონდება ისევ ტკივილით,
> მისი წარსული დევგმირული და მომავალი“...

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამ სტრიქონების დაწერიდან საუკუნეზე მეტია უკვე გასული, მაგრამ 24 წლის კოლაუ ნადირაძის 1919 წელს განცდილი დღესაც უცვლელად აქტუალურია. ვფიქრობთ, კოლაუ ნადირაძე სწორედ წარსულის ტკივილიანი გაანალიზებით ცდილობდა მომავლის გზის განჭვრეტას და მოაზროვნე მკითხველისთვის შეთავაზებას. მისი „წარსულში ჩარჩენილობის“ იდეა ის საბჭოთა გადმონაშთია, რასაც XXI საუკუნის საქართველოში ანაქრონიზმად უნდა მიიჩნევდნენ. კოლაუ ნადირაძეს „თანამედროვეობის ამსახველ მოვლენებსა და თემებზე წერას“ ურჩევდნენ გასული საუკუნის კრიტიკოსები. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურება უნდა იყოს თანამედროვე მკვლევრებისა და მკითხველისათვის, რაოდენ პროგრესული და საშიში ეგონათ ქართველი სიმბოლისტი მაშინდელ პარტიულ ჩინოვნიკებს.

ჩვენი პოზიციის დასტურად გამოდგება კოლაუ ნადირაძის ლექსი-შედევრი „1921 წლის 25 თებერვალი“, რომელმაც ცენზურის ქარცეცხლიც გამოიარა და ახალი მგზნებარებით ამოტივტივდა 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ, ძაძებითმოსილ საქართველოში. როგორც ადამიანს, ზოგიერთ ლექსსაც გამორჩეული ბედი აღმოაჩნდება ხოლმე. კოლაუ ნადირაძის ამ ლექსს მის ავტორზე არანაკლები თავგადასავალი არგუნა ტრაგიკომიკურმა კომუნისტურმა სისტემამ.

1985 წლის ზაფხულში გამომცემლობა „მერანმა“ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „პოეტის ათასი სტრიქონი“[6] დაბეჭდა. წიგნში ცამეტი შემოქმედის ათას-ათასამდე სტრიქონი შევიდა. პრივილეგირებული ავტორებიდან მხოლოდ ორი – კოლაუ ნადირაძე და კარლო კალაძე იყვნენ ცოცხლები. მოულოდნელად თბილისში შოკისმომგვრელი ხმა დაირხა: ანტისაბჭოთა ლექსი „გაიპარა“ წიგნში, რომ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა „შეუმცდარი წარმოდგენა შეექმნა პოეტთა შემოქმედებით გზაზე და, ზოგადად, ქართული ლექსის იმ საგანძურზე, რაც საბჭოთა ეპოქით იყო შთაგონებული“.[6]

საბჭოთა სახელმწიფოს უამრავი დაცვითი მექანიზმი ჰქონდა იმისათვის, რომ ანტიიდეოლოგიური რამ არასდროს გამორჩენოდა სისტემის თვალსა და კლანჭებს. შესაბამისად, ეს იმდენად წარმოუდგენელი რამ იყო, რომ მცირე ხნით, ბოროტი ჭორი ეგონა ბევრს. წიგნში, გაზეთსა თუ ჟურნალში მასალის გამოქვეყნებამდე კონტროლის გრძელი პროცედურა გულმოდგინედ ამოწმებდა თითოეულ სიტყვას.

გამოსაცემად გამზადებულ დედანს ჯერ კითხულობდა წიგნის რედაქტორი, მერე – უმცროსი რედაქტორი, შემდეგ მხატვარი (ვისაც უნდა გაეფორმებინა კონკრეტული გამოცემა და ამიტომ უნდა სცოდნოდა მისი შინაარსი). ამის მერე დედანი სტამბაში იგზავნებოდა და ასოთამწყობი კითხულობდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. ანაწყობი რედაქციაში ბრუნდებოდა და კორექტორები მას დედანს ადარებდნენ, ასწორებდნენ შეცდომებს და ხელით აკინძული ფურცლები მთავლიტში (საბჭოთა ცენზურა) მიჰქონდათ. იქ უკვე წითელი ფანქრით (და, გამორიცხული არაა, რომ უზარმაზარი ლუპითაც) ტექსტს ჩასაფრებული კითხულობდა მთავლიტის თანამშრომელი, რომლის ფხიზელ თვალს ისეთი „კორექტურა“ უნდა ეპოვა, წინამორბედ გამსწორებლებს რაც შეიძლებოდა გამორჩენოდათ. საჭიროების შემთხვევაში, ამობეჭდილ დედანს კითხულობდნენ მთავარი რედაქტორი, მისი მოადგილე ან დირექტორიც. ასეთი გრძელი ცენზურული ჯაჭვის მიუხედავად, 1985 წლის ზაფხულში სენსაციური ფაქტი სახეზე იყო.

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

როგორც დადგინდა, კრებულის მხატვარს იდეა გასჩენია: წიგნში წარმოდგენილი ყოველი პოეტის ხელნაწერის ნიმუში დაერთო კონკრეტული ავტორისადმი მიძღვნილი მონაკვეთისთვის. ვიზუალურადაც და შინაარსობრივადაც ძალიან ეფექტური იქნებოდა ჯერ პოეტის ავტოგრაფის ფოტოგამოსახულება და შემდეგ სტამბურად აწყობილი მისი ლექსები. მხატვარმა ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერები მოიძია და მათ ფოტოები გადაუღო, რის საფუძველზეც დამზადდა კლიშეები. არავინ იცის დანამდვილებით, რატომ პირადად ცოცხალ ავტორს არ გამოართვეს საავტოგრაფო ნიმუში. ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, საერთოდ საქმის კურსში როგორ არ ჩააყენეს კოლაუ ნადირაძე და ავტორის უკითხავად შერჩეული „სკანდალური“ ლექსი გამოქვეყნებამდე რანაირად არ წაიკითხა ვინმემ. ილუსტრაციის ფუნქცია კი მიანიჭა კრებულის მხატვარმა, მაგრამ მაინც ტექსტი იყო, შინაარსით დატვირთული. ბევრი რამ დარჩა აუხსნელი და დაუდგენელი.

ეს რომ სტამბურად აწყობილი ტექსტი ყოფილიყო, რა თქმა უნდა, „გაპარვა“ გამოირიცხებოდა, მაგრამ მოგვიანებით ყველა იმით იმართლებდა თავს, რომ ფოტო იყო, კლიშე და ყურადღება არავინ მიაქცია შინაარსს, რადგან ილუსტრაციად ჩათვალეს. როგორც ჩანს, აღარც საბჭოთა სისტემა იყო მოწოდების სიმაღლეზე და აღარც მთავლიტის ცენზურული მზერა – ძველებურად მახვილი.

1985 წლის საიუბილეო კრებულში დაბეჭდილი ავტოგრაფების უმეტესობა ძნელი გასარჩევია, ზოგიერთის წაკითხვა კი საერთოდ შეუძლებელი. სამაგიეროდ, 25 თებერვლის სუსხიანი და სისხლიანი დღისადმი მიძღვნილი კოლაუ ნადირაძის ლექსის ყოველი სიტყვა კარგად იკითხება. სულშიჩამწვდომი რეფრენი წაკითხვიდან დღეებისა და თვეების განმავლობაში გონებაში გიტრიალებს,

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სულს გიფორიაქებს და დავიწყების საშუალებას არ გაძლევს ქართველ ადამიანს:

„თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

ისეთი ლექსია, იმ ავადსახსენებელი რეჟიმის პირობებში ავტორის გასამართლებლადაც ვერაფერს მოუხერხებდა ვინმე. არც შეფარულადაა ნათქვამი, არც მეტაფორულად ანდა სიმბოლურად. პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავადაა ჩამოყალიბებული ყველაფერი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის თაობაზე: ტაბახმელაც იქვეა, კოჯორიც, გვარდიელებიცა და თბილისის დაცვისას დახოცილების ამბავიც, წმინდა გიორგის ხატივით ამხედრებული სერგო ორჯონიკიძის ჩათვლით:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი ცელით“.

თითქოს, ეს სტრიქონები საკმარისად სკანდალური არ იყო, ხელნაწერის ბოლოს თარიღი – 1969 წელი მიეთითებინა ავტორს და მკითხველისთვის საკუთარი ავტოგრაფითაც გარკვევით ემცნო დამწერის გვარ-სახელი – კოლაუ ნადირაძე. ეჭვის საბაბი, ხელჩასაჭიდი არაფერი დაეტოვებინა. ცხადია, ლამის მთელი საბჭოთა იმპერია შეაზანზარა ასეთმა არნახულმა სითავხედემ. ოღონდ, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, ვისმა.

პოეტს ასეთი მამხილებელი, მართალი ლექსის გამოქვეყნების არც იმედი, არც სურვილი ჰქონია. თავისთვის დაწერა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის დღეს, თანამოკალმის ტრაგედიით შეძრულმა. როგორც თავად პოეტი იხსენებდა, რამდენიმე მწერალთან ერთად ქაშუეთში გრიგოლ ორბელიანის საფლავზე წასულების სულის მოსახსენიებელი დალია. შინ კარგად შეზარხოშებული დაბრუნდა, პაოლოსთან ერთად გატარებულ ახალგაზ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რდობაზე ფიქრში ცრემლები გადმოსცვივდა და ასეთი სულიერი კრიზისის მომენტში დაწერა სტრიქონები, ლექსადაც რომ არ თვლიდა და მეგობარს, იმ დროის ცნობილ გამომცემელს, შალვა დემეტრაძეს აჩუქა. როდესაც „ცისფერყანწელთა“ ეს დიდი ქომაგი გარდაიცვალა, მისი არქივი მუზეუმში მოხვდა. უამრავი პირობა უნდა შესრულებულიყო, მრავალი წვრილ-წვრილი ფაქტი მომხდარიყო სხვადასხვა დროს, რომ ისტორიულ ლექსს „1921 წლის 25 თებერვალი“ დღის სინათლე ეხილა.

1985 წელს გამომცემლობა „მერანში“ ვმუშაობდი ალმანახ „კრიტიკის“ პასუხისმგებელ მდივნად. დილით სამსახურში მისულმა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამხობისადმი მიძღვნილი კოლაუ ნადირაძის ლექსის ამბავი შევიტყვე. იქვე გავარკვიე, რომ ტირაჟის ნაწილი უკვე გაეტანათ მაღაზიებში. სასწრაფოდ უკანვე დაბრუნება გადაწყდა, რომ ის ფურცელი ამოეხიათ და სხვა ჩაეკრათ. ამიტომ გავიქეცი და რამდენიმე ეგზემპლარი ვიყიდე ამ უნიკალური გამოცემის, რომლის ორი ვარიანტი არსებობს: ერთი ნებადართული და მრავალტირაჟიანი, ხოლო მეორე აკრძალული, რომლის სულ რამდენიმე ცალიღაა შემორჩენილი.

ცენზურასგაქცეული ლექსის ამბავს რეპრესიების გარეშე არ ჩაუვლია. გამომცემლობა „მერანის“ შვიდი თანამშრომელი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან:

- მთავარი რედაქტორი – მამუკა წიკლაური
- მთავარი რედაქტორის მოადგილე – იზა ორჯონიკიძე
- განყოფილების გამგე – გრიგოლ ჯულუხიძე
- სამხატვრო განყოფილების გამგე – სპარტაკ ცინცაძე
- მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

- წიგნის რედაქტორი – ლეილა ბეროშვილი
- მთავლიტის თანამშრომელი, რომელმაც ამ წიგნის დაბეჭდვის ნებართვა გასცა

კრებულის გასაფორმებლად მოწვეული მხატვარი – გოგი წერეთელი „მერანის“ შტატიანი თანამშრომელი არ იყო და მისი სამსახურიდან გაშვება ამიტომ ვერ შეძლეს.

რაც შეეხება „მთავარ დამნაშავეს“, 1985 წლის 3 სექტემბერს კოლაუ ნადირაძე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომაზე დაიბარეს, რომლის ოქმი №25 არქივმა შემოინახა.[8] კრებას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი – შოთა ნიშნიანიძე, სხდომის მდივანი – რეზო კვერენჩხილაძე, მწერლები – ჯანსუღ ჩარკვიანი და თამაზ ჭილაძე. 90 წელს გადაცილებული კოლაუ ნადირაძე სხდომას არ ესწრებოდა, თუმცა, დაბარებული იყო. პირველ საკითხად სწორედ სკანდალში გახვეული ლექსის ავტორისა და მისი ავტოგრაფის დაბეჭდვის თემა განიხილეს.

შოთა ნიშნიანიძემ დამსწრეებს გააცნო ლექსის ავტორის პოზიცია. თქვა, რომ მწერალი ძალიან განიცდიდა მის მიერ კარგა ხნის წინათ მივიწყებულ ნაწერთან დაკავშირებით აგორებულ სკანდალს და თავის მხრივ, გამომცემლობას ადანაშაულებდა მომხდარში, რომლის წარმომადგენელი ავტოგრაფისთვის პირადად მასთან არ მივიდა. სხდომის თავმჯდომარემ ჭარმაგი პოეტის ფიზიკური დაუძლურება და სკლეროზი დაასახელა გამოუცხადებლობის მიზეზად. აღნიშნა, რომ ასეთი დანაშაულისთვის ნებისმიერი იმსახურებდა მწერალთა კავშირიდან გარიცხვას, მაგრამ კოლაუ ნადირაძის „მონანიებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულების“[8] გამო, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თავმჯდომარემ, გადაწყვიტა, არ მიემართა აღნიშნული ზომისათვის.

ჯანსულ ჩარკვიანმა დაამატა, რომ ლექსის დაწერის მომენტშიც საკმაოდ ასაკოვან პოეტს, შესაძლოა, უკვე ჰქონოდა სკლეროზით გამოწვეული გონებრივი პრობლემები, რასაც სიმთვრალეც დაემატა და „სიყრმის მეგობრის მწარე ბედის გახსენებით გამოწვეულმა აგზნებამ დააწერინა“[8] ასეთი ლექსი. ჯანსულ ჩარკვიანმა გააკრიტიკა მუზეუმი, სადაც უამრავი ისეთი დოკუმენტი ინახება, რისი გასაჯაროვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ბოლოს მანაც გაიმეორა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოსაზრება: კოლაუ ნადირაძე „თავად საშინლად განიცდის ამ მდგომარეობას და ჩვენც მეტი რაღა უნდა ვუყოთ საცოდავ მოხუცს“.[8]

თამაზ ჭილაძემ სრულად გაიზიარა კოლეგების დამოკიდებულება ჭარმაგ პოეტსა და მის სკანდალურ ლექსთან დაკავშირებით: „მართლაც საკვირველია ასეთი ლექსის დაწერა. ეს არაა შეგნებული ნაბიჯი, რადგან მთელ მის ცხოვრებაში არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა“.[8]

სხდომის წევრებმა დაასკვნეს: „მწერალთა კავშირის სამდივნო გამოხატავს მთელი ქართული მწერლობის აზრს, როცა უკიდურეს გულისწყრომას გამოთქვამს ზემოხსენებული ფაქტის მიმართ და სასტიკად კიცხავს ნ.ნადირაძეს ჩვენი ასეთი შერცხვენისთვის“.[8] 1985 წლის შემოდგომა იდგა. ჯერ არ იგრძნობოდა, რომ სულ სამიოდე წელიწადში საქართველოს ბედი რადიკალურად შეიცვლებოდა და კოლაუ ნადირაძის სკანდალურად აკრძალული ლექსი ხელნაწერის სახით თბილისის სკოლებს მოედებოდა 9 აპრილის ტრაგედიით შეძრულ, თანაც, გამეხებულ დედაქალაქში. ქართულის გაბედული და განათლებული პედაგოგები სასკოლო პროგრამაში თვითნებურად ამატებდნენ მას და სწორედ იმ მამულიშვილურ საქმეს

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ემსახურებოდნენ, რისთვისაც პოეტმა აღნიშნული ტკივილიანი სტრიქონები შექმნა. 1989 წლის გაზაფხულზე არ თოვდა, მაგრამ:

„...თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

ლიტერატურა ▫ References

1. ავალიანი ლალი (1992), ლიტერატურული წერილები, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
2. ბენაშვილი დიმიტრი (1967), კრიტიკული ნარკვევები, ტომი I, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
3. ბრეგაძე ლევან (2008), ერთი ლექსის ისტორია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [nplg.gov.ge].
4. ნადირაძე კოლაუ (1971), ერთტომეული, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
5. ნადირაძე კოლაუ (1984), რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
6. პოეტის ათასი სტრიქონი (1985), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“ (ცენზურას გადარჩენილი ორიგინალი სტატიის ავტორის, ლევან ბრეგაძის პირადი არქივიდან).
7. ტაბიძე ტიციან (1916), ცისფერი ყანწებით, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, №2.
8. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ფონდი №8, ჩანაწერი №1, საქმე №3248, ოქმი №25, ფურცელი 30-33.
9. ჩხიკვიშვილი ნინო, კოლაუ ნადირაძის ორი ლექსი: „წიწამურიდან საგურამომდე“ და „1921 წლის 25 თებერვალი“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [nplg.gov.ge].
10. Belchier, Dabridgcourt (1618), *Hans Beer-Pot*, “Good wits doe jumpe;” Carl Theodor von Unlanski (1816), *The woful history of the unfortunate Eudoxia*, Great minds think alike [phrases.org.uk/meanings/great-minds-think-alike.html].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)